საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
Legal Entity Public Law
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 9 „17“ 07 2019 წ.

# დადგენილება № 25

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვის მექანიზმებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვის მექანიზმები და სამოქმედო გეგმა“ ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს ვებ - გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი** **ლავრენტი ჩიბურდანიძე**

ქ რუსთაველის ქ. №113. 0800 ახალციხე, საქართველო
113, Rustaveli st., 0800 Akhaltsikhe, Georgia
ტელეფონი: 5(99) 063 366, 5(77) 050 640 Tel.
ფაქსი: +995 365 22 19 90 Fax

დანართი

# სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვის მექანიზმები და სამოქმედო გეგმა

## 1. ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვის მექანიზმები

ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვის მექანიზმების შემუშავების მიზანია კრიზისულ სიტუაციებში უზრუნველყოს სწრაფი და ეფექტიანი შესაძლებლობა, აღადგინოს სასწავლო/სამეცნიერო პროცესი დროის მოკლე მონაკვეთში.

ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვის მექანიზმების შემუშავება და ბიზნესუწყვეტობის დაგეგმვა მოიაზრებს სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული საფრთხეების, რისკებისა და გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების, ანალიზის, პრევენციის და მათი უარყოფითი შედეგების შემცირების მიზნით გეგმებისა და პროცედურების შემუშავებას და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მონიტორინგს.

ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვა ასევე გულისხმობს ბიზნესპროცესების უწყვეტობის დაგეგმვას, იმისთვის რომ მოხდეს ყველა იმ ძირითადი რისკის მინიმუმამდე დაყვანა, რომლის იდენტიფიცირებაც ხდება. ბიზნესპროცესების უწყვეტობის დაგეგმვა არის დინამიური და თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც იძლევა გარემოებების ცვლილებებისა ან რისკებისადმი ადაპტირების საშუალებას და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებას.

ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა ემსახურება პირველ რიგში ადამიანების უსაფრთხოებას. შემდგომ ეტაპზე შენობა/ნაგებობის დაცვას და შესაბამისი გამაგრებითი ღონისძიებების გატარებას და ბოლოს, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და კრიტიკული ბიზნეს პროცესების დაცვას, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ რეჟიმში მუშაობას.

## 2. ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვის მექანიზმები მოიცავს:

- **ბიზნეს უწყვეტობის რისკის იდენტიფიცირება და შეფასება**

იდენტიფიცირება გულისხმობს რისკების განსაზღვრას, მის კატეგორიებად დაყოფას, გამომწვევი ფაქტორების დადგენას. უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის რისკ ფაქტორები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ. სპეციალური სამუშაო ჯგუფი იკრიბება წელიწადში მინიმუმ ორჯერ ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის განსახილველად. სამუშაო ჯგუფი რექტორის გადაწყვეტილებით, უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული რისკ ფაქტორების გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, ამ წესში შესატანი შესაბამისი ცვლილებების ინიცირებას. ბიზნესპროცესების უწყვეტობის შემუშავებულ გეგმას განიხილავს და ამტკიცებს, ასევე ცვლილებები შეაქვს წარმომადგენლობით საბჭოს.

თავისი ხასიათიდან გამომდინარე რისკები შეიძლება იყოს შიდა და გარე ფაქტორებით გამოწვეული. უნივერსიტეტის საქმიანობის სპეციფიკისა და მიზნებიდან გამომდინარე რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- **ბუნებრივი კატაკლიზმები** (მიწისძვრა, მეწყერი, ხანძარი, წყალდიდობა, ქარიშხალი, სხვა სახის ტექნოგენური და ბუნებრივი კატაკლიზმები);

- **ტექნოლოგიური** (კიბერ-შეტევა(უნივერსიტეტის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ჰაკერული ან ვირუსული შეტევა), სატელეფონო და ინტერნეტ სერვისების შეტევა);

- **ოპერაციული** (ინფრასტრუქტურის მიზნობრივი დაზიანება; შენობის დაზიანება; მოძრავი ქონების დაკარგვა/განადგურება; დასაქმებულთა გადინების მაღალი პროცენტი (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობის შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო); კომუნალური მომსახურების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, წყალი, კონდიცირება));

- **ფინანსური და სამართლებრივი** (შემოსავლების კლება; გადასახადები; ჯარიმები და პირგასამტეხლოები; სამართლებრივი დავები; საიჯარო ხელშეკრულებების დარღვევა);

- **სტრატეგიული** (ავტორიზაცია/აკრედიტაციის დაკარგვა; შემცირებული ჩარიცხვები; ნეგატიური მედია გამოხმაურებები; დაწესებულებისადმი ნდობის დაკარგვა და რეპუტაციის შელახვა; სახელმწიფოში საომარი საფრთხე ან ომის დაწყება).

- **პრევენცია და რეაგირება**

**ბუნებრივი კატაკლიზმების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები**

ბუნებრივი კატაკლიზმები გულისხმობს მიწისძვრა, მეწყერი, ხანძარი, წყალდიდობა, ქარიშხალი, სხვა სახის სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებულ საგანგებო სიტუაციებს, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ქონდეს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებიდან გამომდინარე;

ბუნებრივი კატაკლიზმების პრევენცია და მათზე რეაგირების მექანიზმები გულისხმობს:

სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშვებას და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებას;

უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლების სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას;

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, მათ შორის ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების გამართულ მდგომარეობაში არსებობის უზრუნველყოფას;

სტუდენტთა, თანამშრომელთა და სხვა პირთა საევაკუაციო გეგმების არსებობა, ასევე, სხვადასხვა ინვენტარისა და მათი გამოყენების ინსტრუქციების არსებობას;

შენობებში არსებული სახანძრო სისტემებისა და ხანძრის ჩქრობის პირველადი საშუალებების გამართულობის პერიოდული შემოწმებების ჩატარებას;

პერიოდულად საგანგებო სიტუაციების, კატასტროფული პროცესებისა და პირველადი დახმარების სიმულაციების ჩატარებას, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს პრაქტიკაში გამოსცადოს საგანგებო სიტუაციების მართვა და გააუმჯობესოს იგი.

საგანგებო სიტუაციისას უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების დაზიანების შემთხვევაში რეაგირების პროცედურა გულისხმობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას უნივერსიტეტის საკუთრებასა ან/და სარგებლობაში არსებულ სხვა შენობებში, მათ შორის სწავლების რამდენიმე ცვლაში დაგეგმვის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

**ტექნოლოგიური რისკი**

უნივერსიტეტში **ტექნოლოგიური რისკის კატეგორია გულისხმობს** კიბერ-შეტევას (უნივერსიტეტის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ჰაკერულ ან ვირუსული შეტევას), სატელეფონო და ინტერნეტ სერვისების შეწყვეტას;

პრევენციის მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიური პროცესების ეფექტანობის შეფასებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაბამისობის დასადგენად უნივერსიტეტში გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება შემოწმებები შესაბამისი სამსახურის მიერ.

მოწმდება საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები:

- ✓ ქსელური ინფრასტრუქტურა და მოწყობილობები;
- ✓ ელექტრონული სერვისები;
- ✓ მონაცემთა ბაზები
- ✓ სერვერები და სარეზერვო ასლები;
- ✓ კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები;
- ✓ სხვა საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინსტრუმენტები.

**ოპერაციულ რისკებში იგულისხმობა:**

- ✓ დასაქმებულთა გადინების მაღალი პროცენტი (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობის შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო);
- ✓ ინფრასტრუქტურის მიზნობრივი დაზიანება; შენობის დაზიანება; ქონების დაკარგვა/განადგრება;

- ✓ კომუნალური მომსახურების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, წყალი);

ადამიანური პერსონალის სამსახურიდან წასვლით გამოწვეული შესაძლო შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება შემდეგი პრევენციული მექანიზმები:

სამუშაო გარემოს გაუმჯობესება შექმნა, შესაბამისი ანაზღაურების და სხვა წახალისების მექანიზმების გათვალისწინებით. ასევე აკადემიური/საქმიანობის თავისუფლების მაღალი ხარისხითა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით.

შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებით დასაქმებულის მხრიდან წასვლის შესახებ უნივერსიტეტის მინიმუმ 1 თვით ადრე ინფორმირებულობის ვალდებულების გათვალისწინება; აკადემიური პერსონალის წასვლის შემთხვევაში მისი სავარაუდო ჩამნაცვლებელი პირების უნივერსიტეტის მიერ წინასწარ იდენტიფიცირება და შესაბამისი მონაცემების ფლობა;

ვაკანსიის გამოცხადება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის მოზიდვის მიზნით.

ინფრასტრუქტურის მიზნობრივი დაზიანების, შენობის დაზიანების, ქონების დაკარგვა/განადგრუბის რისკის პრევენცია ითვალისწინებს

შენობა-ნაგებობის ან მათი ნაწილის განადგურების შემთხვევაში მოსალოდნელი შეფერხებების თავიდან აცილებას ალტერნატიული ფართის გამოძებნით ან/და ალტერნატიული ფართით უზრუნველყოფამდე უნივერსიტეტის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ სხვა შენობა-ნაგებობებში სწავლების რამდენიმე ცვლაში დაგეგმვის გზით.

კომუნალური სერვისების, მათ შორის ელექტროენერგიის მომარაგების უწყვეტობის დარღვევის თავიდან აცილება უნივერსიტეტში არსებული სარეზრვო/ალტერნატიული წყაროებით, მათ შორის ელექტროენერგიის უწყვეტი მომარაგების სისტემით;

ელ. ენერგიის შეფერხებით მოწოდების შემთხვევაში უნივერსიტეტის მაშტაბით არსებობს შესაბამისი გენერატორები და საწვავის მარაგი, რომელიც უზრუნველყოფს 24 საათის განმავლობაში ელ. ენერგიის გამომუშავებას, რომლის გამართულად ფუნქციონირებას

უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური;

სასმელი წყლის შეფერხებით მოწოდების შემთხვევაში უნივერსიტეტში არსებობს სასმელი წყლის შესაბამისი მარაგი.

ბუნებრივი აირის შეფეხრებით მოწოდების შემთხვევაში, უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების გათბობის სარეზერვო მოწყობილობების/დანადგარების არსებობა.

საბიბლიოთეკო და საარქივო რესურსების ელექტრონული ვერსიების წარმოება.

**ფინანსური და სამართლებრივი რისკები**

**ფინანსური და სამართლებრივი** რისკებში იგულისხმება შემოსავლების კლება; გადასახადები; ჯარიმები და პირგასამტეხლოები; სამართლებრივი დავები; საიჯარო ხელშეკრულებების დარღვევა; პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმებია შუალედური ანალიზი და ანგარიშგება:

შუალედური საბიუჯეტო ანგარიში, რომელიც მოიცავს 6 თვის შესრულების მაჩვენებლებს და მოსალოდნელი შედეგების კორექტირებულ გეგმას (არსებული სტუდენტების, სტუდენტთა მობილობის შედეგების, სტუდენტური დავალიანებებისა და სხვა ამოვარდნების გათვალისწინებით);

შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შესაბამისი პერიოდების ბალანსს, მოგება-ზარალის მაჩვენებლებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

**სტრატეგიული**

სტრატეგიულ რისკებში იგულისხმება: ავტორიზაცია/აკრედიტაციის დაკარგვა; შემცირებული ჩარიცხვები; ნეგატიური მედია გამოხმაურებები; დაწესებულებისადმი ნდობის დაკარგვა ; სახელმწიფოში საომარი საფრთხე ან ომის დაწყება და სხვა.

სტრატეგიული ხასიათის რისკების პრევენცისა და რეაგირების მექანიზმებია:

ავტორიზაცია-აკრედიატციის სტანდარტებთან შესაბამისობის გათვალისწინება სტრატეგიული განვიტარების გეგმაში და შესრულების მონიტორინგი;

გააქტიურებული პიარ- კამპანია უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდის მიზნით, პროგრამების გამრავალფეროვნება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით

უნივერსიტეტის ნდობის ხარისხზე მუდმივი მონიტორინგი კვლევებისა და გამოკითხვების გზით

საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მზაობა

## 3. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

| რისკის კატეგორია: ბუნებრივი კატაკლიზმები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რისკი | ხდომილების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი) | ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე (მაღალი, საშუალო, მცირე) | მოცდენის პერიოდი | ქმედება | პრევენციული ქმედება | პასუხისმგებელი ერთეული | შეფა |
| მიწისძვრა | საშუალო | მაღალი | დამოკიდებულია რისკის მასშტაბზე | ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა | -ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით<br>-სამუშაოების ორგანიზებაზე დახმარების მიზნით ადგილობრივ და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებისთვის მიმართვა. | ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური | ადმი რაც ხელმძ ელ |
| მეწყერი | დაბალი | მცირე | 3 დღე | ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა | -სანიაღვრე სისტემის გამართული მუშაობა;<br>-ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით<br>-სამუშაოების ორგანიზებაზე დახმარების მიზნით ადგილობრივ და ცენტრალური | ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური | ადმინ რაცი ხელმძ ელ |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებისთვის მიმართვა. | | |
| ხანძარი | საშუალო | მაღალი | დამოკიდებულია რისკის მასშტაბზე | ინფრასტრუქრურის ხელმისაწვდომობა | -სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა;<br>-ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის მაღალი ტემპერატურისგან და ცეცხლისგან დაცვის მიზნით სათავსოების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით აღჭურვა და ჰაერის კონდიცირება;<br>-ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით;<br>-სამუშაოების ორგანიზებაზე დახმარების მიზნით ადგილობრივ და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებისთვის მიმართვა. | ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური | ადმი[illegible] რაც[illegible] ხელმ[illegible] ელ[illegible] |
| ქარიშხალი | დაბალი | საშუალო | - | ინფრასტრუქრურის ხელმისაწვდომობა | -საევაკუაციო გეგმის შესაბამისად დაუყოვნებლივ სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა; | ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური | ადმინ[illegible] რაციო[illegible] ხელმძ[illegible] ელი[illegible] |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | -სამუშაოების ორგანიზებაზე დახმარების მიზნით ადგილობრივ და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებისთვის მიმართვა. | | |

| რისკის კატეგორია: ტექნოლოგიური | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რისკი | ხდომილების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი) | ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე (მაღალი, საშუალო, მცირე) | მოცდენის პერიოდი | ქმედება | პრევენციული ქმედება | პასუხისმგებელი ერთეული | შეფასე ბა |
| კიბერ-შეტევა (უნივერსიტეტის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ჰაკერული ან ვირუსული შეტევა) | საშუალო | მაღალი | 3 დღე | ახალი სერვერის შეძენა | -ანტივირუსული ყოველთვიური შემოწმება;<br>-მონაცემთა ბაზების დუბლირება; | ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერნეტ სერვისების შეწყვეტა | საშუალო | მაღალი | 5 დღე | ინტერნეტ სერვისებზე ხელმისაწვდომობა | მომსახურების შესყიდვა ალტერნატიული ინტერნეტ-სერვისების მომწოდებლისაგან | ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება | ადმი ისტრ ციის ხელმ ღვანე ლი |
| სატელეფონო სერვისების შესყიდვა | დაბალი | მცირე | - | სატელეფონო სერვისების ხელმისაწვდომობა | ალტერნატიული მომსახურების შესყიდვა | ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება | ადმი ისტრ ციის ხელმ ღვანე ლი |

| რისკის კატეგორია: ოპერაციული | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რისკი | ხდომილების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი) | ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე (მაღალი, საშუალო, მცირე) | მოცდენის პერიოდი | ქმედება | პრევენციული ქმედება | პასუხისმგებელი ერთეული | შეფასება |
| ინფრასტრუქტურის მიზნობრივი დაზიანება; შენობის დაზიანება | დაბალი | საშუალო | - | - სხვა შენობების ხელმისაწვდომობა;<br>- სწავლების რამდენიმე ცვლაში დაგეგმვა | -ალტერნატიული ფართის არსებობა; | ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური | ადმინისტრაც ს ხელმძღვანელ რექტორი |
| მოძრავი ქონების | დაბალი | მცირე | - | სასწავლო ინვენტარისა და ელექტრონული საბიბლიოთეკო | -ყოველკვირეული შემოწმება; | ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური | ადმინისტრაც ს ხელმძღვანელ |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაკარგვა/განადგურება | | | | და საარქივო რესურსის ხელმისაწვდომობა | - საბიბლიოთეკო და საარქივო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა; | რესურსების მართვის სამსახური; სამეცნიერო ბიბლიოთეკა; არქივარიუსი; | |
| დასაქმებულთა გადინების მაღალი პროცენტი ( გათავისუფლების, შრომის ურთიერთობის შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევების გ | | | | | | | |
| აკადემიური პერსონალი | დაბალი | მაღალი | - | დროებით ჩანაცვლება; ვაკანსიებზე კონკურსის გამოცხადება | -პერსონალის წახალისება;<br>-აკადემიური თავისუფლების მაღალი ხარისხი;<br>-პროფესიული განვითარების შესაძლებლობა;<br>-სავარაუდო ჩამნაცვლებელი პირების წინასწარ იდენტიფიცირება და შესაბამისი მონაცემების ფლობა. | რექტორის მოადგილეები; დეკანი; ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება | რექტორი |
| მოწვეული პერსონალი | დაბალი | მაღალი | - | დროებით ჩანაცვლება; ვაკანსიის გამოცხადება | -პერსონალის წახალისება;<br>-აკადემიური თავისუფლების მაღალი ხარისხი;<br>- დასაქმებულის წასვლის შესახებ უნივერსიტეტის მინიმუმ 1 თვით ადრე ინფორმირებულობის ვალდებულება. | რექტორის მოადგეილეები; დეკანი; ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება | რექტორი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალი | დაბალი | საშუალო | - | დროებით ჩანაცვლება; ვაკანსიებზე კონკურსის გამოცხადება | -პერსონალის წახალისება;<br>- საქმიანობის თავისუფლების მაღალი ხარისხი და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა;<br>- დასაქმებულის წასვლის შესახებ უნივერსიტეტის მინიმუმ 1 თვით ადრე ინფორმირებულობის ვალდებულება. | ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება | რექტორ |
| დამხმარე პერსონალი | დაბალი | მცირე | - | დროებით ჩანაცვლება; ვაკანსიის გამოცხადება | -პერსონალის წახალისება;<br>- დასაქმებულის წასვლის შესახებ უნივერსიტეტის მინიმუმ 1 თვით ადრე ინფორმირებულობის ვალდებულება. | ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება | ადმინისტრა ს ხელმძღვანე |
| კომუნალური მომსახურების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კონდიცირება, წყალი) | | | | | | | |
| ელექტროენერგია | დაბალი | საშუალო | 5 წუთი | - ელექტროენერგიის დამოუკიდელად უზრუნველყოფა-დიზელზე მომუშავე გენერატორით | - ავტონომიური ელექტროგენერაციის სისტემით უნივერსიტეტის სარეზერვო ენერგო მომარაგება;<br>-უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სადენების ყოველწლიური შემოწმება; | ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება | ადმინისტრა ს ხელმძღვანე |
| გათბობა | დაბალი | საშუალო | - | - გათბობის ალტერნატიული საშუალებების | გათბობის სისტემის ყოველწლიური შემოწმება | ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ- | ადმინისტრა ს ხელმძღვანე |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ხელმისაწვდომობა;<br>- გათბობის სარეზერვო მოწყობილობების /დანადგარების არსებობა | | ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური | |
| წყალი | დაბალი | მცირე | - | - წყლის ალტერნატიული სისტემის ხელმისაწვდმობა (ჭა, რეზერვუარები) | - წყალგაყვანილობის მილების შემოწმება ყოველ 3 თვეში ერთხელ;<br>- წყლის სარეზერვო მომარაგება; | ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური | ადმინისტრ[illegible]ს ხელმძღვან[illegible] |

| რისკის კატეგორია: ფინანსური და სამართლებრივი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რისკი | ხდომილების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი) | ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე (მაღალი, საშუალო, მცირე) | მოცდენის პერიოდი | ქმედება | პრევენციული ქმედება | პასუხისმგებელი ერთეული | შეფასება |
| შემოსავლების კლება | | | | | | | |
| საბიუჯეტო სახსრების ნაკლებობა | დაბალი | საშუალო | - | დამატებითი რესურსების მოძიება | -შუალედური საბიუჯეტო ანგარიშგება;<br>- დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება; | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | რექტორი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | -გარდამავალი ნაშთის არსებობა | | |
| სახელმწიფო სასწავლო გრანტების/გრანტების/საკუთარი სახსრების/პროექტების ნაკლებობა | დაბალი | მაღალი | 1 წელი | დამატებითი რესურსების მოძიება | -შუალედური საბიუჯეტო ანგარიშგება;<br>-პროექტების რიცხვის გაზრდა;<br>-პრიორიტეტების განსაზღვრა;<br>-გარდამავალი ნაშთის არსებობა | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | რექტორი |
| გადასახადები | დაბალი | საშუალო | - | დამატებითი რესურსების მოძიება | - შუალედური ფინანსური ანგარიშგება;<br>-ეფექტური მექანიზმების შექმნა.<br>-გარდამავალი ნაშთის არსებობა | ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახური;<br>ადმინისტრაციის ხელმღვანელი | რექტორი |
| ჯარიმები და პირგასამტეხლოები | | | | | | | |
| ადმინისტრაციული | დაბალი | მცირე | - | დამატებითი რესურსის მოძიება | - შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლის გაძლიერება | ადმინისტრაციის ხელმღვანელი | რექტორი |
| საგადასახადო ჯარიმები | დაბალი | საშუალო | - | დამატებითი რესურსის მოძიება | - აუდიტორული შემოწმებები | ადმინისტრაციის ხელმღვანელი | რექტორი |
| სხვა | დაბალი | მცირე | - | დამატებითი რესურსის მოძიება | | ადმინისტრაციის ხელმღვანელი | რექტორი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამართლებრივი დავები | დაბალი | საშუალო | - | შესაბამისი მოქმედება | - ვალდებულებების დროულად, ჯეროვნად შესრულება | ადმინისტრაციის ხელმღვანელი | რექტორი |
| ხელშეკრულების დარღვევა | | | | | | | |
| ტექნიკური მომსახურება | დაბალი | მაღალი | | დამატებითი რესურსის მოძიება | მუდმივი კომუნიკაცია | ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახური; | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| საგანმანათლებლო მომსახურება | დაბალი | მაღალი | | დამატებითი რესურსის მოძიება | მუდმივი კომუნიკაცია | რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | რექტორი |

| რისკის კატეგორია: სტრატეგიული | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რისკი | ხდომილების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი) | ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე (მაღალი, საშუალო, მცირე) | მოცდენის პერიოდი | ქმედება | პრევენციული ქმედება | პასუხისმგებელი ერთეული | შეფასება |

| ავტორიზაცია/აკრედიტაციის დაკარგვა | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აკრედიტაცია | დაბალი | მაღალი | 1 წელი | სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა; პროგრამის განახლება; | - სტანდარტებთან შესაბამისობის გათვალისწინება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შესრულების მონიტორინგი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; პროგრამის ხელმძღვანელი; დეკანი | რექტორი |
| ავტორიზაცია | დაბალი | მაღალი | 1 წელი | სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა;<br>ავტორიზაციისთვის ხელახალი განაცხადის შეტანა | - სტანდარტებთან შესაბამისობის გათვალისწინება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შესრულების მონიტორინგი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;<br>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; რექტორი | რექტორი |
| შემცირებული ჩარიცხვები | საშუალო | მაღალი | 1 სემესტრი | პროგრამების შეფასება, | - პროგრამების გამრავალფეროვნება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით; | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; პროგრამის ხელმძღვანელი | რექტორი |
| ნეგატიური მედია გამოხმაურებები | საშუალო | მაღალი | - | არგუმენტებული პასუხები | - რეგულრული კონტაქტი მედიის წარმომადგენლებთან;<br>- თანამშრომლობა ჟურნალისტიკის რესურსცენტრთან (TOK-TV); | საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | რექტორი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | - გააქტიურებული პიარ-კამპანია; | | |
| დაწესებულებისადმი ნდობის დაკარგვა | დაბალი | მაღალი | - | საპასუხო ქმედებები; აქტივობები | - გააქტიურებული პიარ-კამპანია; | საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | რექტრი; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| სახელმწიფოში საომარი საფრთხე ან ომის დაწყება | დაბალი | მაღალი | - | საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მზაობა | | რექტრი; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | აკადემიური საბჭო |